სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 8 20 0001107156

19/11/2020

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვასთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში სასწავლო პროცესის შეჩერების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 17 ნოემბრის N 11/1663 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის გამართვასთან დაკავშირებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეექვსე და მერვე სასწავლო კორპუსებში, აგრეთვე თბილისში, გურამიშვილის გამზ. N17-ში მდებარე სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია საარჩევნო უბნები, 2020 წლის 20 ნოემბერს შეჩერდეს სწავლების ის კომპონენტები, რომლებიც აღნიშნულ სასწავლო კორპუსებში ხორციელდება (ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები), ხოლო დანარჩენი სამუშაო პროცესი 2020 წლის 20 ნოებერს წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში.
2. სასწავლო კურსების წამყვანმა პერსონალმა უზრუნველყოს გაცდენილი მეცადინეობების აღდგენა 2020/2021 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის შუასემესტრულ გამოცდებამდე.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის აღნიშნული სასწავლო კორპუსების შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე